


№ 182 (9223)
8 ივლისი
საბჭოთა
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО-ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან შანი 8 კაპ.

საბჭო წინააღმდეგობის განთავსების მ. ს. გორბაჩოვის პოლიტიკის თავაზების პონანდობას



კეთილი ნების თამაშების პაციტივულად მოწოდებით და სტრუქტურული მეთოდებით მჭიდროდ მოსკოვლები ამხანაგებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელმწიფო მხურვალედ მივსალმები ამ დიდ საერთაშორისო დღესასწაულზე — სპორტის, ახალგაზრდობისა და წვევილობის დღესასწაულზე ჩამოსული თითქმის სამოცდაათი ქვეყნის წარმომადგენლებს.

აგვიტ სახელწოდება ამ ასპარეზობისა დრამიდ სიმბოლურია. დღეს აღმართა და ხალხთა, სახელმწიფოთა და მთავრობათა ურთიერთობაში, განსაკუთრებით საჭიროა სწორედ კეთილი ნების განთავსება. კეთილი ნება ხსნის საზღვრებს, ქმნის თანამედროვეობის ძირეული საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობებს. რა მანილიც უნდა გააძვირდეს ჩვენს პლანეტის მცხოვრებლებს, რა სხვადასხვაგვარიც უნდა იყოს ჩვენი მრწამსი და ცხოვრების წესი, უნდა ვხვდებოდეთ, ვსაუბრობდეთ, ვამაობდეთ და ვეჯიბრებოდეთ ერთმანეთს პატიოსან ასპარეზობაში. ეს ყოველივე ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას. უამისოდ კი ვერ დაიცავ ჩვენს მიწას მისილოდნილი, კატასტროფისაგან.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ასპარეზობის მოწყობა შესაძლებელი გახდა უწინარეს ყოველისა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტული ორგანიზაციების, საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მეცადინეობით. მათ გადაწყვიტეს ბოლო, მოუღონ არანორმალურ ვითარებას, როცა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე საბჭოთა და ამერიკელი ათლეტები არ შეხვედრილან აი უკვე ათი წელია.

ეს კარგი ნიშანია. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ორი ქვეყნის წარმომადგენელთა შინაარსიანი კონტაქტები მტკიცდებო-

დეს, ვითარდებოდეს სხვა სფეროებშიც.

სპორტი მშვიდობის დესპანია. იმედი ჰქვას, რომ კეთილი ნების ასპარეზობაც შესამჩნევი როლს შეასრულებს არა მარტო სპორტულ ცხოვრებაში, არამედ საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესებაშიც.

ამისათვის ამ ასპარეზობას კარგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი აქვს: იგი მიმდინარეობს მშვიდობის საერთაშორისო წილს, რომელიც გაერთიანებულ ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა.

საბჭოთა კავშირმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ეს, 1986 წელი, ზუსტად ასეთი გახდეს. ჩვენი მშვიდობისმოყვარული ინიციატივები მიზნად იმას ისახავენ, რომ მოამზადონ სასპორტო მოედანი, სიდანაც შეიძლება უფრო სავსეობა შემოვადგინოთ სხვა, საწინააღმდეგო მხარეს — განიარაღების მხარეს.

და ჩვენ ვნლით სერიოზულ პასუხს იმათგან, ვისაც ეკისრება ჩახსენებულა და ვინც, ბოლოს და ბოლოს, ყურად უნდა იღოს გააძვირებული შეიარაღების წინააღმდეგ პროტესტის ხმა, რომელიც სულ უფრო ხმადალა გაისმის ყველა კონტინენტზე.

თქვენს სახით, პაციტივული საზღვარგარეთელი სპორტსმენები და სტუმრები, მივსალმებით ამ ქვეყნების ხალხებს, რომლებმაც აქ გამოგვზავნეს. ესოდენ ვართ მოწყობის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობა მოწყობის, თუ რაოდენ ახლოა ერთმანეთთან მშვიდობისა და ურთიერთგაგების იდეები და რა ძვირფასია ისინი აღმანებლისათვის მსოფლიოს ყველა კუთხეში.

მომავალი, ზოგჯერ ცნობილია, ახალგაზრდობას ეკუთვნის, მას უნდა გადაეცეთ არა ომის ჩირაღდანი, არამედ მშვიდობის ესტაფეტა. იმედი გვაქვს, რომ მოსკოვში გამართული ასპარეზობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ ერთიანობის მშვი-

დობიან, დემოკრატიულ საფუძველზე. მეტოქეობისა და ბრძოლის სულსკვეთება მარტო სპორტულ არენებზე უნდა დარჩეს.

სწორედ ამიტომაც არის ამ ასპარეზობათა დღეები — „სპორტში მეგობრობიდან — ქვეყნად მშვიდობისაკენ“.

სპორტი ახალ სიმაღლეთა და პერფორმანსის მიზანს, ადამიანის ჯანმრთელობის, კარგი გუნდავანწყობილობის, შემოქმედებითი დღეგრძელობის წყაროა. ამიტომ უყვართ ჩვენში ასე ფიზიკური კულტურა და სპორტი, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

სსრ კავშირში ყოფნისას თქვენ დარწმუნდებით, თუ რა დამატებითი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს საბჭოთა ხალხი. ჩვენ ვწყვეტთ XXVII ყრილობის მიერ დასახულ მასშტაბურ ამოცანებს. რომელთა მიზანია აღმამიანის კეთილდღეობის, პიროვნების პარონიული განვითარება, საბჭოთა აღმამიანების სულიერი და მატერიალური მოთხოვნისა და მათგანობა.

ვიცი, რომ ამ მიზნის მიღწევისაკენ მივყავართ ერთ გზას — მტკიცე მშვიდობის პირობებში შეუღობარი, შთავსებულ შრომის გზას. მშვიდობა გვაჭირდება ჩვენ, მშვიდობა სჭირდება ყველას.

ჩვენს ქვეყანას არაერთგზის უმბანილია დიდ ასპარეზობათა მონაწილეობისათვის. ექვსი წლის წინათ სწორედ ამ ადგილას გაიხსნა XXII ოლიმპიადი. ამჯერადაც საბჭოთა აღმამიანები ყოველ ღონეს იხმარებენ, რათა კეთილი ნების თამაშების მონაწილე სპორტსმენთა და სტუმართა ყოფნა სსრ კავშირში იყოს მკაფიო, სახასოვრო მოვლენა მათ ცხოვრებაში.

კიდევ ერთხელ მოვსალმებით თქვენს გზა დაველოცით კეთილი ნების თამაშებს გულგონად ასპარეზობის მონაწილეებს ახალი მიღწევები სპორტში, ყველა დამსწრის კი სიმხნევე, შრომისა და მშვიდობის სიხარული!

დაჩქარების სტრატეგია — დაუბრუნებელი ნიშნები საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

როგორც ვიუწყებოდით, 5 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

შოსხენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. ე. ჩერქეზია.

ამ საკითხზე დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების თანამხსენებთა, რომელიც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

დღის წესრიგის მეოთხე და მეხუთე საკითხებზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: პ. პ. ჩხეიძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეთრე მდივანი, ვ. მ. ცუგბა — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ი. გ. უნგვაძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ზ. ი. ლომიძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძოლველ სააქროს უფროსი მექურე, ბ. ვ. ტყეშელაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დ. ე. ხარიშვილი — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, გ. დ. ლომიძე — საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ლ. გ. ლომიძე — საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი, ი. ხ. ჟორდანიანი — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ჯ. ვ. გორგოძე — საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი, ვ. ხ. ყურაშვილი — ცხაკიის რაიონის სოფელ ფოცხის კიროვის საწარმოების კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი, დ. ვ. მანჯაღაძე — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.

კრიტიკულად შეაფასეს რა მიღწეული, დეპუტატებმა ძირითადი ყურადღება მიაქციეს სსრ XXVII ყრი-

ლობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის — საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. დიდი პასუხისმგებლობის ვრცობით ისინი სახავედნიენ იმის პრაქტიკულ გზებს, რომ გაძლიერდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების გავლენა მშრომელთა დარაზმებაში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დაჩქარებისათვის, ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც ეხება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოციალური სამართალის ნიშნის პრინციპის დამკვიდრებაში, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფაში.

ერთსლოვნად მიიწონეს რა სესიაზე წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლიური სახელმწიფო გეგმის პროექტი, დეპუტატები აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს წარმოების ინტენსიფიკაციის უზრუნველყოფის, ეკონომიკის ეფექტიანობის გაძლიერების, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, ფართო სოციალური პროგრამის რეალიზაციის შესახებ.

სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე სსრ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ.

ერთსლოვნად ამტკიცებენ კანონს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ო. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულმა და ამტკიცებულ შესახებ და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

სესიაზე ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემაჯავებლობაში.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (სამწევრობში).

სახისარყო ცნობა შეგვდონიდან

ლენდონის სამხრეთ ვარეუბანმა უიმბლდონმა წლეულს უკვე მეასედ უმბანილია დედამიწის უძლიერეს ჩოგბურთელს, რომლებმაც ბაღისისადაზარიან კორტებზე მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონის ტიტული გაითამაშეს. ქართველ ჩოგბურთელს მოყვარულებს, ცხადია, განსაკუთრებით აღელვებდა ჩვენი თანამემამულე, თბილისის უცხოენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტის, 18 წლის ლეილა მესხის გამოსვლა. როგორც ვიუწყებოდით, ლეილა წარმატებით დაძლია იუნიორთა ტურნირის პირველი სამი წრე და მეოთხედფინალში გავიდა. მესხმა მომდევნო ორი შეხვედრაძლიერად ჩაატარა: მეოთხედფინალში ბელგიელი ე. დევრიე დაამარცხა (6:3, 2:6, 6:2), ხოლო ნახევარფინალში ბრაზილიელი გ. მიროს სძლია (6:2, 6:2). ფინალში ლეილას მეტოქე იყო გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონი, 15 წლის მინსკელი ჩოგბურთელი ნატალია ზვერევა, რომელმაც მეოთხედფინალში ანგარიშით 6:4, 6:2 მოუღო დასავლეთგერმანელ ვ. პრობსტს, ნახევარფინალში კი

ავსტრალიელ მ. ჯავარდს აჯობა — 4:6, 6:3, 6:1.

ფინალური შეხვედრა უაღრესად დამბალყო გამოდგა. პირველი პარტია მესხმა მოიგო — 6:2, ხოლო მეორეში ამავე ანგარიშით გაიმარჯვა ზვერევა. დაძაბულობა კულმინაციურ წერტილს მიაღწია მესხმა, გადამწყვეტ პარტიაში. მეტოქეები შეუღობრად, თავგანწირვით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის. საბოლოოდ წარმატება ზვერევას ხვდა — 2:6, 6:2, 9:7. ცხადია, მესხის მოგება ყველას გასურდა, მაგრამ ჩვენი ჩოგბურთელისათვის უიმბლდონის იუნიორთა ტურნირში დაკავებული მეორე ადგილი დიდი მიღწევაა.

დიდ ინტერესს იწვევდა ვაჟთა შეჯიბრების ფინალური ორთმბრძოლა, რომელშიც ერთმანეთს შეხვედნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ჩხოსლოვაკელი ივან ლენდლი და უიმბლდონის შარსინდელ ტურნირში გამარჯვებული ბორის ბეკერი (გფრ). 18 წლის დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ბრწყინვალედ ითამაშა, აშკარად დაჯანბნა თავისი გამოცდილი მეტოქე (6:4, 6:3, 7:5) და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

МОСКВА 86
МИР ДОБРА

სპორტი გვეძლიებს დასვანი

მოსკოვში საჯიფო ვითარებაში გაიხსნა კეთილი ნების თამაშები

გობრობის, ხალხთა შორის ურთიერთობებისა და ნდობისადმი კეთილი ნება აერთიანებს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ პლანეტის უძლიერეს ათლეტებს, რომ მოსინჯონ ძალენი პატიოსან ბრძოლაში, დაადასტურონ ოლიმპიურ ქარტიაში გამოცხადებული პრინციპებისადმი ერთგულება: ხელი შეუწყონ უკეთესი და უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნას. ტაშით ხვდებიან შეკრებილნი ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, პ. ა. ალიევის, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ჯაიკოვს,

პლანეტა დედამიწა, ისეთი, როგორიც იგი კოსმოსიდან ჩანს, — ცისფერი, განუყოფლად ლამაზი, შექმნილი სიკაცხისათვის, და არა ომებისათვის, გახდა ემბლემა კეთილი ნების თამაშებისა, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 5 ივლისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

ამ უდიდესი შეჯიბრების თვით დღეები „სპორტში მეგობრობიდან — ქვეყნად მშვიდობისაკენ“ გამოხატავს მის კეთილშობილურ სულსკვეთებას. მშვიდობის, მე-

გობრობის, ხალხთა შორის ურთიერთობებისა და ნდობისადმი კეთილი ნება აერთიანებს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ პლანეტის უძლიერეს ათლეტებს, რომ მოსინჯონ ძალენი პატიოსან ბრძოლაში, დაადასტურონ ოლიმპიურ ქარტიაში გამოცხადებული პრინციპებისადმი ერთგულება: ხელი შეუწყონ უკეთესი და უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნას. ტაშით ხვდებიან შეკრებილნი ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, პ. ა. ალიევის, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ჯაიკოვს,

5 ივლისი, 1986 წელი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი.

რეკონსტრუქციის დასრულებას გადაურჩა

ლიდაროვს ვახტანგ იაგორაშვილი

მოსკოვი. (ტელეფონით, ჩვენი სხვა კორ.). კეთილი ნების თამაშების პროგრამა მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ გრანდიოზული სპორტული ღონისძიების გვირგვინი მძლეოსანთა ასპარეზობაა. მარტო იმიტომ კი არა, რომ ლუწინის ცენტრალურ სტადიონზე 57 ქვეყნის წარმომადგენლები ეჯიბრებიან ერთმანეთს, არამედ იმიტომაც, რომ მოსკოვში მძლეოსანთა ქეშპირტილ კაშკაშა თანაერსკვლავედმა მოიყარა თავი. საასპარეზოდ ჩამოვიდნენ კარლ ლუისი და ედვინ მოხსი, ულიამ ბენქსი და გრეგ ფოსტერი, ეველინ ეშფორდი, ჰაივე დრექსლერი და სხვები. მძლეოსანთა შეჯიბრების პირველი დღის კულმინაცია ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ეშფორდისა (აშშ) და დრექსლერის (გერ) ორთაბრძოლა გამოდგა 100-მეტრიან დისტანციაზე. ეშფორდი ამ მანძილზე რბენის აღიარებულ ოსტატად ითვლება. ხოლო დრექსლერმა — სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენმა, წარმატებით მოსიხჯა ძალა ჯერ 200 მეტრზე რბენაში (მსოფლიო რეკორდიც კი გაიძიორა), რამდენიმე დღის წინ კი, ოსლოში ორჯერ მოკლე დისტანციაზე მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი — 10,8 აჩვენა.

ტემპერატურას და უძნელეს ტრასას, ასეთი პირობები ყველაზე ხელსაყრელი, რა თქმა უნდა, აფრიკელი, კერძოდ ეთიოპელი მორბენლის ბელანე დინსამოსათვის აღმოჩნდა. მართლმეტყველოთა შორის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგის მფლობელი (2:08.29) სტარტიდანვე 200 მეტრით დაწინაურდა. როდესაც 42 კილომეტრის გარბენის შემდეგ ეთიოპელი სტადიონზე შემოიჭრა, იგი ტოტოქებს კვლავ 200 მეტრით უსწრებდა. აფრიკელ მორბენალს გამარჯვების სისხარულმა, როგორც ჩანს, დღლილობა დაავიწყა და მან ისე გამოხატა ემოციები, როგორც ფეხბურთელმა გოლის გატანის შემდეგ. დინსამომ 2:14.52 აჩვენა. მეორე და მესამე ადგილებზე საბჭოთა სპორტსმენები ივორ ბრასლავსკი (2:15.24) და იაკოვ ტოლსტიკოვი (2:16.22) გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ცნობილი ამერიკელი მძლეოსნის მერი დეკერის მეუღლე, ბოსტონის მარათონის ვიცე-ჩემპიონი რონ ტუბი საუკეთესო ათეულშიც ვერ მოხვდა.

სუთიფელტო ტურნირის გუნდურ პირველობაში წარმატებით ასპარეზობს საბჭოთა ნაკრები (ვახტანგ იაგორაშვილი, ანატოლი სტაროსტინი და ანატოლი ავდევი).

ცხენოსნობისა და ფარეკაობის შემდეგ სწორედ ეს სამეული ჩაუღდა სათავეში ასპარეზობას. ფარეკაობაში ცალკეულ სპორტსმენთაგან ყველას ივორ შვარცმა აჯობა, რომელმაც 1034 ქულა მოაგროვა. იაგორაშვილი მე-6 შედეგი აღმოაჩინა — 930 ქულა. ორი სახეობის შემდეგ ბირად პირველობაში 2031 ქულით შვარცი ლიდერობს, იაგორაშვილი ჯერჯერობით მესამე ადგილს იკავებს თური ემელიანოვთან ერთად. ორივე სპორტსმენი 1972 ქულა აქვს. ივორ ბრიზგლოვი 1897 ქულით მე-17 ადგილზეა.

გუშინ საღამოს ხუთიფელტო ტურნირში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, 800-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაცურა თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა (8.12,978) და ყველაზე მეტი — 1882 ქულა მოაგროვა. ამ წარმატების შემდეგ ვახტანგ იაგორაშვილი სამი სახეობის ჯამში ივორ შვარცთან ერთად სათავეში ჩაუღდა შეჯიბრებას. ორივე სპორტსმენს 8804-8804 ქულა აქვს. გუნდურ პირველობაში იაგორაშვილი და მისი თანაგუნდელები ა. ავდევილი და ა. სტაროსტინი 9699 ქულით I ადგილზე არიან და 518 ქულით უსწრებენ პოლონეთის გუნდს.

ვიორგი ჩოჩიუვილი.

დღეს თამაშობა

შრმანაურთი. ქალები. გერ—გერ; კსდრ—ჩეხოსლოვაკია, აშშ—იაპონია, პერუ—სსრ კავშირი. მძლეოსნობა. 200 მ. გიტი (ქალები, ვაყები), გიტი 1 კილომეტრზე, ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით 4 კმ. ქალო სპირიტი.

მძლეოსნობა. ქალები. შუბი, 200 მ. რბენა, 5000 მ. რბენა, ესტაფეტა 4X100 მ. ვაყები. კოკი, ბირთვი, 1500 მ. რბენა, 800 მ. რბენა, 4X100 მ. ესტაფეტა. თანამედროვე სუთიფილი. სროლა.

სცენები, რომლებსაც თბილი და ლირიკული სახელოდება აქვთ: „სამშობლო ჩემი“. პროფესიონალმა და თვითმოქმედმა მსახიობებმა, თითქოს მეგობრობის ქორეოგრაფიული გვირგვინი დაწესო, წარმოადგინეს მოძმე საბჭოთა ხალხების საცეკაო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები. ხელოვნების შემდეგ ესტაფეტას იღებს დღესასწაულის მთავარი მასპინძელი — სპორტი. ოლიმპიური დევიზის „უფრო სწრაფად, უფრო ძალიან, უფრო ძლიერად!“ ერთგული ტანმოვარჯიშეები და აკრობატები; წარმოაჩენენ ვირტუოზულ ოსტატობას და ერთსულოვნებას. მათ შორის ბევრია უმაღლესი სპორტული რანგის ათლეტი — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.


დგება წუთი, რომელიც აღსავსეა განსაკუთრებული, ამაღლებული აზრით. ხუთი კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენებს კეთილი ნების ასპარეზობის დროშა შემოაქვთ სტადიონზე.

მიკროფონს უახლოვდება ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. გრამოვი. იგი 1986 წლის კეთილი ნების ასპარეზობას განსწავლავს აცხადებს.

თეთრი დროშა, რომელზეც გამოსახულია ჩვენი პლანეტის სიმბოლო — ცისფერი წრე, ნელ-ნელა აღიმართება ფლაგსტოქზე. ელერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ლუწინის თავზე აღმართულ ბრინჯაოს თასში ცისკენ აიჭრა ცეცხლი, რომელმაც გაანათა დამის სიბნელე. კეთილი ნების ასპარეზობის ცეცხლი დანთებულა!

სპორტისა და ადამიანთა სოლიდარობის ამ დღესასწაულის პატივსაცემ სალუტად სტადიონზე ფორევერის ფერად-ფერადი გირლანდები ეშვება.

კარგ სტარტს გისურვებთ, კეთილი ნების თამაშებო! (საკდესი)



მოსკოვი მძლეოსნის დასკანია

სასწრაულო)

ფანფარების წყარო — კეთილი ნების თამაშების სიგნალი. თურში მიიქვთ ამბავი ახანობის, სილამაზის, ძალიან მეგობრობის დღესასწაული დაწყების შესახებ. აგერ კი ის სხვა: აღმოსავლეთ ტრიბუნის საღაც მხატვრული ფონია ცხატული, გვიანს მშვიდობის სიხალისის რტო. თითქოს მეგობრობის ფიცს დებენო, ევრანგელისტობილია სხვადასხვა კონკრეტისა და სხვადასხვა კანის მქონე სპორტსმენთა ხეილი. სტარტებში, რომლებიც უწყობა მოსკოვში, ტალინსა და ბელარუსში, მონაწილეობას მიიღებენ თითქმის სამოციდაათი ქვეყნის ათლეტები.

კეთილი ნების ასპარეზობის მოლოდინებსა და სტუმრებს მიესალმება ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მ. ს. სტაროსტინი, რომელსაც შეერები-გულთბილად მიესალმნენ. გამოსვლა დიდი ყურადღებით მიმდინებს და ტაშით შეგდ-

ლოხლავადებულნი გამოვიდნენ. მძლეოსნებს საბჭოთა და ამერიკელი ბავშვები — თავიანთი ნების მომავალი, მათი იმედი. ვებთან ერთად არის ჯიან სმირონოვიც. ეხვევა სამანტას კომპიუტერის კატია ლინორა. მან ხომ მშვიდობის პატარა ბანდ ახლახან იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ენიკის სადღესასწაულო ბოლოა არდევს ყურისმოძრაობის უსიამოვნო ნოტები — სულ მკვეთრი, სულ უფრო სახიფათო. გასმის აფეთქების ხმა რბა ფონი, სტადიონი სიბნელია. შავი კრანხე გამოიყვანა. შეჯიბრების დასრულების შემდეგ გაფრთხილება რომ მიხვდებიან. იზრდება ავი-სწავებელი ატომური სივრცის რაფაფული სიუიტი, რომელიც ტანმოვარჯიშეები ასრულებს. სიმბოლოურად გამოხატავს და ნათელი, ბორბი და ძალების ბრძოლას. ამ

მძლეოსნის დღიური

შაბათს და კვირას კეთილი ნების თამაშების მონაწილე სპორტსმენებს „ოლიმპიკის“ საცურაო აუზში მიღობა 16 კომპლექტი ვათამაშეს, მსურ ბილიკებსა და სექსიონები — 6. ჯილდოებისთვის მიიღეს ხუთიფელტო და ხუთბურთული ვაზაგობები. ხუთბურთული ვაზაგობის შემდეგ მოიგო ტურნირი ლენინაკაობის რეპერტივიანმა, რომელ-

მაც სიგრძეზე ხტომაში ევროპის ახალი რეკორდი (8 მ 61 სმ) დაამყარა. სარეკორდო ნახტომი 21 წლის მძლეოსანმა მეორე ცდაზე შეასრულა. ემიანმა 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა კონტინენტის უმაღლესი მიღწევა, რომელიც 6 წლის წინ მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ლუც დომბროვსკიმ (გერ) დაამყარა. საინტერესოა ისიც, რომ ლენინაკანელმა მხტომელმა სახელმწიფოკლ ამერიკელს

ლარი მირიკს 20 სანტიმეტრი მოუგო.

წარმატებით იასპარეზა მეორე საბჭოთა მძლეოსანმა ანდრეი პროკოფიევიც. მისი შედეგი 110 მეტრზე თარჯიბენში კი დრიუს (საფრანგეთი) ევროპის 11 წლის-წინანდელი რეკორდის გაუმორებაა — 13,28.

კონტინენტის რეკორდი გააუმჯობესეს მოტურაგებმა. გერმანიის წარმომადგენელმა ანკე მერიტმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 16.20,30 აჩვენა.

კეთილი ნების თამაშების მონაწილე უცხოელი სპორტსმენები ეურნალისტებს ხალისით და სიამოვნებით აძლევენ ინტერვიუს.

გველინ ვაშკოვიჩი. ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში: „კეთილი ნების თამაშებმა მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნებთან შეხვედრის შესაძლებლობა მომცა და დარწმუნებულნი ვიყავი, რომ ამ სეზონში საუკეთესო შედეგს სწორედ აქ, მოსკოვში ვაჩვენებდი. თქვენს დედაქალაქში მეორედ ვარ და რაღა

დაგიმალოთ, აღტაცებას ვერ ვფარავ“. გელაინე დინსამო (ეთიოპია). „მართლმეტყველოთა რბენაში გამარჯვება ჩემთვის დიდი პატივია. ეთიოპიელი მართონელები ასეთ მწიფელოვან ტურნირებში მუდამ უძლიერესთა შორის იყვნენ და მე არ მქონდა უფლება ტრადიციისთვის მეღალატა. ამჟამად აღსანიშნავია ვეცხოვრობ, პოლიციელი ვარ. მძლეოსნობაში ვარჯიში გვიან დაიწყე, რადგან ახალგაზრდობაში ფეხბურთით ვიყავი გატაცებული“.

ესტაფეტა

ივლისსა მიიღო

თვის მონაგარი

რითი დავაშავსოვრა თავი სპორტულმა ივნისმა? რა თქმა უნდა, მთავარი მოვლენა იყო ფეხბურთში XIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელიც მექსიკის სტადიონებზე გაიმართა.

საკავშირო თასის გათამაშებაში მან კიდევ ერთხელ გაახარა თავი ნისმეტყველები — „ვარსკვლავის“ კლასში ყველა მეტოქე დაჯაბნა და საბათიო ჭიღლო მოიბოვა.



ტყვიის სროლა, ჭადრაკი

ქობბ სანია სპეციალისტთა ყუ-სტადლემა მიიპყრო ახალგაზრდა ტყვიის მსროლელმა ნინო ხალუ-ვაძემ. თბილისელი გოგონა იშვიათი სტაბილურობით გამოირჩევა და ყოველი ახალი შეჯიბრებიდან ნადავლი ბრუნდება.



ველოსპორტი, სნიქროსული სურვა

რ მბ თვის სპორტულ შედეგებს იწვევებთ, გამარჯვებულთა რიგებში თითქმის ყოველთვის ვხვდავთ თბილისელ ველოსიბედისტს ოთარ შქედლიშვილს.

თვის მონაგარში საკავშირო ჩემპიონატებსა და უფრო დიდ შეჯიბრებებში მხოლოდდუნ ნადავლს ვითვლით, ახალგაზრდებს შორის ჩვენი ქვეყნის პირველობაში მიღწეულ წარმატებას კი მხოლოდ ვან-საკუთრებულ შემთხვევაში ვხვდებით სათვალავში.

ქიდე უფრო ხანტერესო და და-ძაბული იქნება სპორტული ივი-ლისი. მოსკოვში მიმდინარეობს წლის უდიდესი ასპარეზობა — „კეთილი ნების თამაშები“, რომელშიც მხოფლიოს მრავალი ქვეყ-ნის სპორტსმენები გამოდიან.



საპარტეპლოს პირველობა

5 ივლისს შედგა I ლიგის ფეხ-ბურთელთა საკავშირო გათამაშების ერთი მატჩი: სმოლენსკის „ისკრია“ თვის მინდორზე წააგო ცსკა-სთაი — 0:1.

ალმოსავლეთი ჯგუფი
„არმაზი“ (მცხეთა) — „იმედო“ (თბილისი) 1:1, „დურუვი“ (ყვარლი) — „მეტალურგი“ (ზესტაონი) 0:2, „ივრია“ (ხაშური) — „ვარდენი“-სი (თბილისი) 0:1, „სუეთი“ (თელავი) — ფიქურულტრის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სი (თბილისი) 4:2.

შენიშვნა: თბილისის „სინათლო“ მოსხსნილა საქართველოს პირველობიდან.

დასავლეთი ჯგუფი

„დინამო“ (გაგრა) — „სტუბი“ (წალკა) 3:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სამგურელო“ (ჩხორთაი) 1:0, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „სპორტული“ (თერჯოლა) 1:2, „სპორტნი“ (ოჩამჩირე) — „სალხინო“ (გორი) 2:1, „ეგრისი“ (ცხაპორი) — „შარდევანი“ (წყალტუბო) 1:0, „სულიერი“ (ვანი) — „მეტალურგი“ (ხაზარაძე) 2:0.

სპორტლიტი

სპორტული ლატარების მოვარმა სამართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლიტის“ მორიგე 26-ე ტურაჟებისა, რომელიც ევნისს გაიმართა.
„სპორტლიტო 6 45“-დან: გაყდა 785 861 ბარათი.
ეჭის ციფრი ვერაგინ გამოდენო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (69 ბარათი) მოგება 828 29-ე (ოთხისთვის) (2526) — 2.
სამისთვის (36791) — 3.
„სპორტლიტო 5 88“-დან: გაყდა 6 211 202 ბარათი.
ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (27 ბარათი) მოგება 10000 მარათი, ოთხისთვის (4543) — 131, მისთვის (166032) — 6.

გაუწინდო მოსკოვში შედ „სპორტლიტო 6 45“-დან: 2 (ბატონი), 5 (თავისუფალი ქიდენი), 22 (წყალში ხტომა), 36 (მახურული ტანვარჯიში), 40 (რიკაობა) 42 (ჩოგბურთი).
„სპორტლიტო 5 88“-დან: (ძიულო), 8 (ტრეკზე ველორბოლა) 18 (მშლეონობა), 24 (ხელბურთი) 31 (ფარეიკობა).

პარაწა და პირვი
ცენარალური ბელაჟიიზა. 8 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); კეთილი ნების თამაშები — 9.40 (1); 16.30 (2); 20.00 (1); 21.00 (1); 22.40 (1); 24.00 (1); საქარეპო სკოლა — 12.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 21.20 (2).

საპარტეპლოს ბელაჟიიზა
8 ივლისი. კეთილი ნების თამაშები — 21.00; 22.40; 24.00.
„ლელოს“ შამეავი ნომერაგოვა ხუთუპატოს, 10 ივლისს
რედაქტორის მოადგილე
თ. ბანიჩილა



საგპო, კლასიკური ჭიდაობა

ქობში გამართულ საბმისტთა საკავშირო ჩემპიონატზე გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა ახალგაზრდა საგარეპოელმა ფალა-ვანმა პაატა ბუშარიაშვილმა. 21 წლის სპორტსმენმა ტიტულიაან მეტოქეებთან პაექობაში (მის წონაში 4 მსოფლიო ჩემპიონი გამოდიოდა) მაღალი ოსტატობა და ნებისყოფა გამოავლინა, წელიწად 5 ბრძოლა მოიგო და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

ივნისის შეჯიბრებებში კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფალა-ვანმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. პოდუნის სახელობის „კლასიკოსთა“ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე თავი ისახელეს თენგიზ თედორაძემ და გურამ გიდეზაურმა. პოდუნის ტურნირი ერთერთი ყველაზე ავტორიტეტული შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, აქ თავს იერიან მხოფლიოს უმდიერები ათლეტები. გამოწავლობის არც ერთვაში გამართული ასპარეზობა უყოფილა. მით უფრო სახიბარულია თედორაძისა და გიდეზაურის წარმატება — ისინი ოქროს მედალებით დავიბრუნდნენ. თედორაძემ ახლახან 19 წლისა ვახდა, მაგრამ საქმოდ ხანტერესო სპორტული ბიოგრაფია კი აქვს: მის წავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადისა და ქაბუთათა I საკავშირო თამაშების ჩემპიონი, თანატოლთა სამ საკავშირო პირველობაში და



კლასიკოსობა

კლასიკოსობა ჩვენთვის ტრადიციულად ძნელი და რთული სახეობაა, თუშე მითო-ოროლა მაღალი კლასის ოსტატი ყოველთვის გვაყავდა. დღეს საქართველოს გულწმინდო გამოკვეთილი ლიდერია — ოლეგ სტირეკოვი და მათა აზარაშვილი. ახლახან ამ სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს ლენინგრადში გამართულ ძმები ზანენსკების 29-ე საერთაშორისო მემორიალში. მრავალი წლის მანძილზე ამ ავტორიტეტულ ტურნირში ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ ვიქტორ ხანე-ვერა (სამჯერ), რომერტ შვადლე-ძემ (ორჯერ) და ანატოლი მოში-აშვილმა შემღეს გამარჯვება. ახლა მათ ოლეგ სტირეკოვიც შეემატა. მან ლენინგრადში ყველაზე პრესტეჟული — 10-კილომეტრიანი დისტანცია მოიგო — 28.39,6. 100-მეტრიანი დისტანცია საქართველოს ახალი რეკორდით დამთავრა. მათა აზარაშვილმა — 11,19. ამ შედეგმა მას III ადგილი მოუტანა, მეორე დღეს მათამ უკეთესად იასპარეზა და 200 მეტრზე რბენაში ვერცხლის ჭიღლოს დაეუფლა — 23.11.



ფაროსობა

კვლავ ჩვეულ სპორტულ ფორმაშია თბილისელი აფროსანი, სპორტის დამახსურებული ოსტატი გურამ ბიგანიშვილი. კლასიკოსობა




თანაპედროვე ხუთმიდი

პიგორ ბრიჭვალოვი და ვახტანგ იაგორაშვილი თანაპედროვე ხუთმიდელობა საკავშირო ნაკრების ძეგლი „ბინადრებში“ არიან. ახლა მათ ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი რევაზ ლო-ხოშვილიც შეუერთდა. ამ სამეულმა საბჭოთა კავშირის ნაკრების სახე-ბო, ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და

გაპი

ამბს წინათ საგარეკოს ჭადრ-კის სახლში გაიმართა „შაში — საოცრების“ რესპუბლიკური გათამაშების ფინალი. ერთმანეთს ეჯიბრებოდა 6 გუნდი.
კარავდ ითამაშეს საგარეკოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის სა-შუალო სკოლის ნორჩმა მოშაშე-ებმა (გელა ორკოშენილი, კახა ნარეკლიშვილი, კახა ივანიანიშვილი და ხათუნა დათუნაშვილი). მათ დამარცხეს სამტრედიის (3:1), რუსთავის (4:0), თბილისის 23-ე (2,5:1,5), 41-ე (2,5:1,5), 147-ე (3,5:0,5) საშუალო სკოლების მოშაშე-ები და 15,5 ქულით I ადგილი დაიკავეს. ნინოწმინდელთა გამარჯვება მათი მწვრთნელის ანზორ ორკოშენელის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.
II ადგილზეა თბილისის 41-ე სკოლის გუნდი — 14, მესამეზე — სამტრედიის კოლექტივი — 10,5.
ნინოწმინდელი მოშაშეები ავ-ვისტროში მონაწილეობას მიიღე-ბენ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც ლიტვაში გაიმართება.
დავით გარბანიძე, საგარეკოს ჭადრაკის სახლის დირექტორი, საერთაშორისო ოსტატი საქარეპო კომპოზი-ციაში.

„ოქროს კალათი-86“



„მარტაშების“ კიდევ ერთი გაპარჯევა

თბილისში, კიროვის პარკის სპორტულ დარბაზში დამთავრდა მინი-კალათბურთის ფესტივალი საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის კლუბ „ოქროს კალათის“ პრიზზე. ფინალურ ოთხეულში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის გუნდებმა „მარტაშე“, „ნორჩმა დინამოლმა“, ავტოთვე ბათუმისა და სოხუმის წარმომადგენლებმა. გადამწყვეტ მატჩში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს თბილისელები შეხვდნენ. ანგარიშით 48:39 გაიმარჯვა „მარტაშე“ და ასპარეზობის მთავარი პრიზი დაისაკუთრა. მესამე ადგილზე ბათუმელები გავიდნენ, მეოთხეზე — სოხუმელები.

სურათი: ერთმანეთს ხვდებიან თბილისის გუნდები — „მარტაშე“ და „ნორჩის დინამოელი“.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინს ქ., 14
დებამედიისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ბელაჟიიზა:
სამედეო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მარტაშე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

გაგო
06დეკის:
88425

საქართველოს კვ ც-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის რედაქციის სტაჟბა. 380096, თბილისი, ლენინს ქ., 14. იბეპდება თებურე წესით საგზებთო კორპუსში: ხონარაულის, 29.